Actionbound ვებ-გვერდი ინტერაქციული გაკვეთილების დასაგეგმად

ავტორი [თემურ სუყაშვილი]

ჩაატარო მოსწავლეებისთვის საინტერესო გაკვეთილი, დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. საშუალო საფეხურის მოსწავლეების (და არამხოლოდ) გაკვეთილებიდან კმაყოფილი გაშვება დღეს მასწავლებლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ამიტომ, მასწავლებლები ვცდილობთ თავი მოვუყაროთ საუკეთესო რესურსებს, თანამედროვე შესაძლებლობებს და ამით დავაინტერესოთ ჩვენი მოსწავლეები.

ამ სტატიაში გაგაცნობთ პორტალს Actionbound, რომელიც საუკეთესოა ინტერაქციული გაკვეთილების დასაგეგმად. აპლიკაციაში მომზადებული მისიები შეიძლება შესრულდეს საკლასო ოთახში, სკოლის ტერიტორიაზე, ლაშქრობა/ექსკურსიების დროს, თუ სახლის პირობებში ჯგუფური ან და ინდივიდუალური სამუშაოების სახით. მისიების შესრულებისთვის დაგვჭირდება მობილური ტელეფონი ან სხვა ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან.

პლატფორმაზე სტანდარტული რეგისტრაციის/ავტორიზაციის გავლის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია დაიწყოს მისიების მომზადება. **მოსწავლეებმა მისიების შესასრულებლად უნდა გადმოტვირთონ აპლიკაცია მობილურ ტელეფონებში.**



ვწერთ მისიის/ამოცანის დასახელებას შემდეგ, ჩვენვე ვქმნით სასურველ ბმულს (URL განყოფილებაში შეგიძლიათ ჩაწეროთ მისიის სათაური ლათინური ასოებით). ვირჩევთ თამაშის ტიპს. გვაქვს ორი არჩევანი ინდივიდუალური და ჯგუფური. ამ ველების შევსებისთანავე ვაკლიკებთ შექმენი (Create Bound).

რა ტიპის ამოცანების მომზადების საშუალებას იძლევა ვებ-გვერდი?

ინფორმაციის მიწოდება

გამხსნელ აქტივობად შეიძლება შევარჩიოთ ინფორმაციის მიწოდების განყოფილება. აქ შეიძლება მივაწოდოთ ინფორმაცია იმ თემაზე, რაზე გვინდა ვამუშაოთ, შევუქმნათ მოლოდინები თამაშის შესახებ, მივაწოდოთ დეტალური ინსტრუქცია და ა.შ.

ტესტები

ეს პლატფორმა სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ შესაძლებელია დახურულ დაბოლოებიანი შეკითხვების ჩაშენება.



ვაკლიკებთ განყოფილებას Quiz. შემდეგ ვაყალიბებთ კითხვას, ვირჩევთ ტიპს, მაგ: არჩევითი და შეგვყავს სავარაუდო პასუხები. ბოლოს უნდა მოვნიშნოთ სწორი პასუხი. მოსწავლეების წასახალისებლად შეგვიძლია კითხვებს მივანიჭოთ ქულები და ა.შ. ასევე, შესაძლებელია შემდეგი ვარიანტების არჩევა:

- ხელით ჩასაწერი პასუხი
- მიახლოებითი რიცხვი
- თანმიმდევრობით დალაგება

მნიშვნელოვანია, რომ კითხვების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

მისიები

პლატფორმის კიდევ ერთი გამოყენებადი და ღირებული სივრცეა მისიების განყოფილება. აქ ჩვენ ვქმნით დავალებებს/მისიებს, რომლებზეც პასუხი შეიძლება გაიცეს წერილობით, ფოტოს/კოლაჟის სახით, ვიდეო ფორმატით (გაითვალისწინეთ, რომ მაქსიმუმ 30 წამიანი ქრონომეტრაჟის ვიდეოს ატვირთვაა შესაძლებელი) და ხმოვანი შეტყობინების სახით.



მაგალითად, თუ თქვენი მიზანია, რომ მოსწავლეებმა დასმულ შეკითხვას უპასუხონ სამუშაო რვეულებში, შეგიძლიათ აირჩიოთ ფოტო ფორმატი, და სთხოვოთ რომ რვეულში დაწერილ პასუხს გადაუღონ სურათი და ატვირთონ შესაბამის ველში.

შეიძლება თქვენ შექმნათ მისია, სადაც მოსწავლეებს სთხოვთ, რომ გადაიღონ ვიდეო მათ ქუჩაზე არსებულ პრობლემებზე საინფორმაციო ვიდეო. ამისთვის 30 წამი არ იქნება საკმარისი. ამიტომ ინსტრუქციაში მკაფიოდ ჩაწერეთ შემდეგი: გადაიღეთ საინფორმაციო ვიდეო, სადაც ისაუბრებთ თქვენ თემში/ქუჩაზე არსებულ პრობლემებზე. დამონტაჟებული ვიდეო ატვირთეთ www.wetransfer.com-ზე და შესაბამის ველში ჩააკოპირეთ მხოლოდ ბმული.

პლატფორმა საუკეთესოა სხვადასხვა ადგილის მოსანიშნად. თქვენ შეგიძლიათ მიაწოდოთ GPS კოორდინატი და სთხოვოთ მოსწავლეებს იპოვონ ეს ადგილი, გადაუღონ ფოტო და ატვირთონ.

აქვე შესაძლებელია გამოკითხვის ჩატარებაც.



სახლიდან სკოლამდე და უკან...

სწორედ ამ სახელით შევქმენი პლატფორმაზე მისები მე-7 კლასელებისთვის. მას შემდეგ, რაც დავიწყეთ საკუთარი საცხოვრებელი არეალის/თემის შესწავლა, ჩამოვაყალიბე მისიები და გავუზიარე მოსწავლეებს. მათ მოეთხოვებოდათ:

- ურბანული პრობლემების გამოკვეთა;
- საკუთარ ქალაქში/სოფელში არსებული მწვანე სივრცეების იდენტიფიცირება;
- ქუჩის ხელოვნების ნიმუშების დაფიქსირება;
- საკუთარი მარშრუტის აღწერა წერილობითი ფორმით და ა.შ.

აღნიშნული აქტივობის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://en.actionbound.com/bound/sakhlidan-skolamde



Actionbound მეხმარება მოსწავლეების მოტივაციისა და ჩართულობის ზრდაში. პლატფორმა განსაკუთრებით სასარგებლოა იმ კლასებში, სადაც აქვთ კონცენტრაციის პრობლემა. მოქალაქეობისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან გადამაქვს აქტივობები, ვქმნი ახალ სავარჯიშოებს, რომელთაც ვასრულებთ საკლასო ოთახში. ამით ვასწავლი წიგნთან ურთიერთობასა და პარალელურად ვუბიძგებ სწავლისკენ.

დამხმარე რესურსი:

ვებ-გვერდის გამოყენების დეტალური ინსტრუქციები იხილეთ **Beginner’s course – Actionbound Basics**

Player/Team	Players	Started on	Duration	Points
Giorgi dugashvili	1	October 17 2024 11:37 AM	4 minutes 18 seconds	100
Keto da elene	1	October 17 2024 11:26 AM	24 minutes 1 second	100
Irina	1	October 17 2024 11:24 AM	28 minutes 2 seconds	200
Saba	1	October 17 2024 10:48 AM	21 minutes 45 seconds	200
მაისა მაღრა ფაწჩულა	1	October 17 2024 10:45 AM	12 minutes 36 seconds	100
Nino lizi mari	1	October 17 2024 10:44 AM	22 minutes 40 seconds	200
JE AN	1	October 17 2024 10:44 AM	11 minutes 6 seconds	200
Anuki	1	October 17 2024 10:43 AM	28 minutes 50 seconds	200
Mariami, giorgi, nika	1	October 17 2024 10:05 AM	21 minutes 50 seconds	200
tariel maisuradze	1	October 17 2024 10:04 AM	24 minutes 23 seconds	100